საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კატამონის სვიმეონ მიმრქმელის მონასტერი

კატამონის სვიმეონ მიმრქმელის მონასტერი, ქართველთა მონასტერი იერუსალიმში. მდებარეობდა იერუსალიმის სამხრ.- დას-ით, ჯვრის მონასტრის საწინააღმდეგო მხარეს, ამაღლებულ ადგილას. გადმოცემის მიხედვით, ვახტანგ გორგასალს შეუსყიდია სამონასტრო ადგილი და ქართველი ბერებისათვის სავანე აუშენებია. 1515–24, ბედუინების თავდასხმების შედეგად, 19 ბერი დაიღუპა. გადარჩენილები იძულებული შეიქნენ სავანე მიეტოვებინათ. კატამონი ჯვრის მონასტრის იურისდიქციაში შედიოდა, მაგრამ მოხდა განხეთქილება და კატამონელებმა უარი თქვეს მისადმი მორჩილებაზე. მონასტერი ქართველებმა განაახლეს XVI ს. 20- იანი წლების შემდეგ.

XIX ს. 50-იან წლებში კატამონის სავანეში აღმოჩნდა ქართ. წარწერები.

წყარო: ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, II (1213 წლიდამ 1700 წლამდე), თფ., 1897.

ე. მამისთვალიშვილი